ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. აპრილის 28 № 5 ნაწილი პირველი

შინაარსი:

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

39. დადგენილება ს. კ. ს.—საცხოვრებელი სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

40. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

41. დადგენილება ს. კ. ს.—საკვარტალო საკრედიტო გეგმების შემუშავებისა, შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ.

42. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 815. დაიბეჭდა 1 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

39. დადგენილება ს. კ. ს.

საცხოვრებელი სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საბინაო ფონდის სათანადოდ დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა გასაძლიერებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ბინის ცალკე მოსარგებლეს (დამქირავებელს) დაედება ჯარიმა მის მიერ დაჭერილი სადგომის მიმართ უდიერი მოპყრობისათვის.

ამ ჯარიმას, სახლის სამოურაოს ან კომუნალური ორგანოს განცხადებისამებრ, დაადებს ადმინისტრატიული განყოფილება ან მისი მენაცვლე ორგანო. ჯარიმის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დასაჯარიმებელი პირის ქონებრივი მდგომარეობა, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, პირველად დადებული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 10 მანეთს და მეორედ დადებული—25 მანეთს.

შენიშვნა 1. ამა დადგენილების თანახმად გამოცემული სავალდებულო დადგენილების ძალით გადახდევინებული ჯარიმა ჩაირიცხება საბინაო მშენებლობის საერთო საქალაქო ფონდში.

შენიშვნა 2. ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება, უკეთუ იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხს აგებს სადგომის მიმართ არა სათანადო მოპყრობისათვის, აღძრულია სარჩელი მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საბინაო კოოპერაციის კავშირებს დროგამოშვებით გამოიკვლიონ ხოლმე მათ შედგენილობაში შესული საბინაო და საბინაო-საიჯარო ამხანაგობანი და იმავე დროს გამოარკვიონ სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობის ფაქტები.

3. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს სასამართლო ორგანოებს დირექტივი, რათა მტკიცედ იქნეს შეფარდებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსების ის მუხლები, რითაც გათვალისწინებულია ბინის მიმართ უდიერი მოპყრობის შედეგები, კერძოდ—მოქალაქეთა გამოსახლება ბინიდან ბინის მიმართ უდიერი მოპყრობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოვ. აღმ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 7.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 80 №-ში 1928 წ. აპრილის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თვალყურის დევნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დავალებათა და მინდობილობათა თავის დროზე და სისწორით აღსრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას.

შენიშვნა. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა ამა დადგენილებაში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს მეშვეობით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო ყველა იმ საკითხის გამო, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის დავალებათა და მინდობილობათა შესრულებასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ მიმართავს მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

3. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დავალებათა და მინდობილობათა შესრულების ვადის დანიშვნისა და შეცვლისა:

ა) მინდობილობის შესრულების ვადას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგე, როგორც საერთო წესი, შეუთანხმებს დაინტერესებულ უწყებას და დაწესებულებას და ამ ვადას დაამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

შენიშვნა. ს. ს. რ. კავშირის ან ა/კსფსრ მთავრობათა დავალებაზე დამყარებული მინდობილობის შესრულების დროს აღნიშნული ვადა იმ ანგარიშით უნდა იქნეს დადგენილი, რომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს შეძლება მიეცეთ თავის დროზე შეასრულონ ზემოხსენებული ორგანოების დავალება.

ბ) აღნიშნული წესი არ გავრცელდება ისეთ მინდობილობაზე, რომლის დაყოვნებაც არ შეიძლება; ამგვარ მინდობილობის შესრულების ვადა უშუალოდ დადგენილ იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს სხდომაზე ამ ორგანოთა თავმჯდომარის მიერ ან და თავმჯდომარის მოადგილის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მინდობილობის შესრულების ვადის გაგრძელება შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში; ამასთანავე მინდობილობის განსაზღვრულ ვადაზე შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მიზეზების აღნიშვნით, უნდა ეცნობოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს წინასწარ, ყოველ შემთხვევაში, მინდობილობის შესრულების ვადის გასვლამდე. უკეთუ მინდობილობის შესრულების ვადის გაგრძელება აუცილებელია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო, რესპუბლიკანურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, დაადგენს მინდობილობის შესრულების ახალ ვადას და წარუდგენს მას დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

4. მინდობილობის შესრულებისათვის თვალყურის დევნება სათანადო უწყებაში დაეკისრება სახალხო კომისარს (ან დაწესებულების პასუხისმგებელ ხელმძღვანელს) ან ერთ-ერთ მის მოადგილეს, რომელიც დავალების მიღებისას შეიმუშავებს მუშაობის გეგმას, გაანაწილებს მუშაობას თავის აპარატში, დანიშნავს პასუხისმგებელ აღმასრულებელს აღნიშნული დავალებისათვის და მის დანიშვნას აცნობებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს.

5. განსაზღვრული მინდობილობის ვადაზე შეუსრულებლობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი მიეცემა პასუხისგებაში. როდესაც საქმის გამოკვლევა საჭირო არ არის—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის განკარგულებით, ხოლო როდესაც საქმის გამოკვლევა საჭიროა—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მინდობილობათა შეუსრულებლობის მიზეზის სასწრაფო გამორკვევა, როგორც კი ამის შესახებ აცნობებს მას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სამდივნოს გამგე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. დადგენილება ს. კ. ს.

საკვარტალო საკრედიტო გეგმების შემუშავებისა, შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფარგლებში მომქმედ ყველა ბანკს, როგორც საქართველოისას, ისე იმ ბანკებს, რომლებიც სსრკ ბანკების კონტორები და ფილიალებია, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებს, რათა მათ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინონ ხოლმე, მის მიერ შემუშავებული ფორმებით, საკვარტალო საკრედიტო გეგმების შესადგენად საჭირო ცნობები თვენახევრით ადრე, ვიდრე შემდეგი მორიგი კვარტალი დაიწყებოდეს.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, მასალების მიღებისადა მიხედვით, დაამუშაოს მასალები, აგრეთვე შეათანხმოს ბანკებთან დაინტერესებულ ორგანიზაციათა საკრედიტო მოთხოვნები და ამრიგად დამუშავებული ცნობები თავისი დასკვნით წარუდგინოს საქართველოს სსრ ეკონომსაბჭოს დასამტკიცებლად ორი კვირით ადრე, ვიდრე შემდეგი მორიგი კვარტალი დაიწყებოდეს.

3. საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე კვარტალის საორიენტაციო საკრედიტო გეგმა უნდა დაეგზავნოს ბანკებს, რათა მათ ეს საორიენტაციო გეგმა შეუთანხმონ თავიანთ საკრედიტო გეგმებს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

42. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის საჭირო პირთა მოსამზადებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან მოეწყობა ასპირანტთა (საშტატო და საზეშტატო) ინსტიტუტი.

შენიშვნა. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის თვითეული უმაღლესი სასწავლებლის საშტატო ასპირანტთა რაოდენობას და მათ განაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას ცალკე სპეციალობის (კათედრის) მიხედვით, დააწესებს განათლების სახალხო კომისარიატი სათანადო უმაღლესი სასწავლებლის წარდგენისამებრ.

2. უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტად შეიძლება ჩაირიცხოს: ა) ის პირი, რომელიც 20 წელიწადზე ნაკლები ხნისა და 40 წელიწადზე მეტი ხნის არ არის და რომელსაც წარმატებით აქვს გავლილი უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებათა სრული კურსი და ბ) იმავე ასაკის პირი, უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის განსაკუთრებული წარდგენისამებრ, რომელსაც, თუმცა უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ აქვს ისეთი წინასწარი სამეცნიერო მომზადება, რაც ასპირანტისათვის შესაფერ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

3. უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის განცხადებას ამა თუ იმ პირის ასპირანტად ჩარიცხვის შესახებ და აგრეთვე ცალკე პირის მიერ ასპირანტად ჩარიცხვის შესახებ შეტანილ განცხადებას, სათანადო ფაკულტეტის დასკვნით, — განიხილავს განსაკუთრებული შემრჩევი კომისია; ასეთი კომისია მოეწყობა თვითეულ უმაღლეს სასწავლებელთან ამ უკანასკნელის რექტორის თავმჯდომარეობით; კომისიაში შევლენ: სათანადო ფაკულტეტის დეკანი, სათანადო საგნობრივი კომისიის წარმომადგენელი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ორი წარმომადგენელი, სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ბიუროს წარმომადგენელი და უმაღლესი სასწავლებლის პროფესიონალური სექციის აღმასრულებელი ბიუროს წარმომადგენელი.

4. ფაკულტეტის მიერ ასპირანტად დასახელებული პირი და აგრეთვე ის პირი, რომელიც ასპირანტად ჩარიცხვას ითხოვს, ვალდებულია წარადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია; ბ) ანკეტა (განათლების სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმით); გ) დოკუმენტი სამხედრო ბეგარის შესახებ; დ) დიპლომი ან მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ (გარდა ამა დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული პირებისა); ე) წერილობითი შრომა, რაც დაადასტურებს, რომ ასპირანტად ჩასარიცხი პირი საკმაოდ მომზადებულია შემდგომი სამეცნიერო-საკვლეო მუშაობისათვის; ვ) სამეცნიერო დაწესებულებათა ან სამეცნიერო მომუშავეთა დასკვნა, როგორც წარდგენილი წერილობითი შრომისა, ისე სხვა სამეცნიერო შრომის შესახებ, უკეთუ ასპირანტად ჩასარიცხ პირს ასეთი შრომა მოეპოება.

შენიშვნა. ამა მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნულ შრომად შეიძლება წარდგენილ იქნეს ნაბეჭდი შრომა, სადიპლომო და სასემინარიო თხზულება.

5. შემრჩევი კომისიის დადგენილება, როგორც მისაღები ისე უარყოფითი, დასაბუთებული აზრით თვითეული კანდიდატის შესახებ და აგრეთვე მე-4 მუხლში აღნიშნული ყველა დოკუმენტით და მასალით წარედგინება დასამტკიცებლად განათლების სახალხო კომისარიატს სათანადო უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის მეშვეობით.

შენიშვნა. უკეთუ შემრჩევი კომისიის დადგენილებას არ დაეთანხმა ესა თუ ის ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენელიც აღნიშნულ კომისიაში შედის, ან უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა, განათლების სახალხო კომისარიატს უნდა წარედგინოს სათანადო განსაკუთრებული აზრი იმ დაწესებულებისა, რომელიც კომისიის დადგენილებას არ ეთანხმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. იმ პირთა რიცხვიდან, რომელთა კანდიდატურაც განხილულ იქნა შემრჩევ კომისიაში, განათლების სახალხო კომისარიატი დანიშნავს საშტატო ასპირანტებს სათანადო უმაღლესი სასწავლებლისათვის ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის წესისამებრ დადგენილი საშტატო ადგილების რაოდენობისა და ცალკე სპეციალობის (კათედრების) მიხედვით.

დანარჩენი კანდიდატები, რომელთა მიმართაც ცნობილ იქნება, რომ ისინი ასპირანტისათვის შესაფერ მოთხოვნას აკმაყოფილებენ, შეიძლება ჩარიცხულ იქნენ საზეშტატო ასპირანტებად.

შენიშვნა. საშტატო ასპირანტად ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცემა იმ პირს, რომელიც მუშათა და გლეხთა წრეს ეკუთვნის.

7. საშტატო ასპირანტს დაენიშნება სახელმწიფო სტიპენდია დადგენილი წესისამებრ განსაზღვრული რაოდენობით.

8. თვითეულ ასპირანტს შეუძლიან მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებლისა და ერთი სპეციალობის (კათედრის) შტატში ირიცხებოდეს.

არ შეიძლება შეთავსებულ იქნეს საშტატო ასპირანტის თანამდებობა და სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო სამსახური, გარდა პედაგოგიური მუშაობისა უმაღლეს სასწავლებელში და ლიტერატურული მუშაობისა და აგრეთვე საზეშტატო ასპირანტად სათანადო მუშაობის წარმოებისა სხვა უმაღლეს სასწავლებელში ან სხვა სპეციალობაში.

შენიშვნა. საშტატო ასპირანტის პედაგოგიური მუშაობა კვირაში [illegible] სამოსწავლო საათს არ უნდა აღემატებოდეს.

9. [illegible]ტის მიერ მეცადინეობის გავლის წესს ცალკე სპეციალობის მიხედვით და აგ[illegible] მის უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს სათანადო უმაღლესი სასწავლებლ[illegible] გამგეობა და დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისა[illegible].

10. უმაღ[illegible] სასწავლებელში ასპირანტად ყოფნის უკიდურეს ვადას ცალკე სპეციალობის მიხედვით განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი.

11. ყველა ის პირი, რომელიც ამჟამად დატოვებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთან სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად (როგორც ის, ვინც სახელმწიფო სტიპენდიას იღებს, ისე ის, ვინც ამ სტიპენდიას არ იღებს), დამტკიცებულ უნდა იქნეს ასპირანტად ამა დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ და იმ ვადაზე, რასაც განათლების სახალხო კომისარიატი დაადგენს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 7.
ტფილისი—სასახლე.